26/11/2024

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლები პროექტის ‘სტუდენტები სახელმწიფოს განვითარებისთვის’ შემაჯამებელ ღონისძიებას დაესწრნენ

Image not found or type unknown

ამა წლის 24 ნოემბერს ახალგაზრდობის სააგენტოს საგრანტო კონკურსის ფარგლებში კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი – „სტუდენტები სახელმწიფოს განვითარებისთვის“ განხორციელდა.

პროექტის შემაჯამებელ ღონისძიებას აგრეთვე ესწრებოდნენ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებიც, ვინაიდან აღნიშნული სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოსა და სტუდენტურ პარლამენტთან.

პროექტის ფარგლებში მოეწყო შემეცნებითი ექსკურსიები ახალგაზრდებისთვის, გაიმართა ტრენინგები სხვადასხვა თემაზე და ჩატარდა შეხვედრები გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან. აღნიშნულ აქტივობებში კი 1000-მდე ახალგაზრდა ჩაერთო.




სტუდენტური
პარლამენტი
და მთავრობა
ICSU
ENDENT CHILDREN & STUDENTS UNION



საშეცნიერო ტურები

sazu.ge